# ივერია

**გაზეთი ღირს**

| თუმე | მან. კ. | თუმე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, ახალ-ბებუთოვის ქუჩაზედ, სახლი № 9, ზ. ხიდდეკელის საგაზეთოს, გოლოვინის პროსპექტი, ცენტრალურსა და გრიქუროვის წიგნების მაღაზიებს.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპ.

1877—1887 წელიწადი

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

1877—1887 წელიწადი


**ამ ნომერში რვა გვერდია**

**ხელის-მომწერთა საყურადღებოდ:**

ვისაც მხოლოდ ხუთი მანათი შემოუტანია, პირველ მაისიდამ მოესპოთ გაზეთი. ნისიად გაზეთი არავის ეგზავნება, რადგან რედაქციას ერთხელ და ერთხელვე წესად არა აქვს დადებული. წლიურნი ხელის-მომწერელნი, რომელთაც მარტო ხუთი მანათი შემოუტანიათ, თუ ინებებენ და ხუთს მანათს კიდევ შემოიტანენ, წლის დამლევამდე გაეგზავნებათ გაზეთი. რედაქცია კერძო წერილით პასუხს ვერ მისცემს გაზეთის მოსპობის შესახებ, თუ ფულის გამოუგზავნელობის გამო არის მოსპობილი გაზეთი.

ტფილისი, 18 მაისი

როგორც წინა წერილში მოვიხსენეთ, უმთავრესი გაჭირება ჩვენის მეურნეობისა იმაში მდგომარეობს, რომ მიწის მწარმოებელს თავის ნაწარმოებისთვის კარგი ბაზარი ვერ უშოვნია და ამიტომ იძულებულია ჩარჩებს მიჰმართოს და თითქმის ნახევარ ფასად მიჰყიდოს თავის ნაშრომ-ნადაგი. ისიცა ვსთქვით, რომ დიდ სამსახურს გაუწევს ჩვენს ქვეყანას ყველა, კერძო კაცი იქნება თუ საზოგადოება, ვინც იკისრებს და მოახერხებს, რომ მწარმოებელმა პირ-და-პირ, ჩარჩების უშუამავლოდ, გარდასცეს თავის ნაწარმოები მომხმარებელს. ასეთი დახმარება თავის მოვალეობად უნდა ჩასთვალოს, ჩვენის აზრით, სამეურნეო საზოგადოებამ და თუ ახალის წყაროს გამოძებნას ვერ იკისრებს, იმდენი თაოსნობა მაინც გასწიოს, რომ ხელი შეუწყოს იმას, რასაც თვით მთავრობა უჩვენებს. აი ის წყარო.

ამას წინად კავკასიის სამეურნეო საზოგადოებას შემდეგი მოწერილობა მოსვლია სამეურნეო და სამეურნეო მრეწველობის დეპარტამენტისაგან. „მინსკის სამეურნეო საზოგადოებამ, — მოხსენებულია მოწერილობაში, — სთხოვა უმთავრესს საინტენდანტო გამგეობასა, რომ ხსენებულმა გამგეობამ სამხედრო მაღაზიებისათვის პური პირ-და-პირ მწარმოებლისაგან იყიდოს და არა იჯარადრებისა და ჩარჩებისაგანაო. მინსკის საზოგადოება ამასთანავე ჰპირდება გამგეობას, რომ ჩვენის მხრივ ყოველ გვარ შემწეობას გაგიწევთო.“ ამას აუწყებს დეპარტამენტი კავკასიის სამეურნეო საზოგადოებასა და თანა სთხოვს: ყურადღება მიაქციეთ ამ წინადადებასა და გამოიყენეთ საქმეში სოფლის მწარმოებლების სასარგებლოდ, ესე იგი ეცადეთ, რომ მწარმოებელმა თავის ნაწარმოები პირ-და-პირ, უშუამავლოდ, სამხედრო უწყებას მიჰყიდოსო.

სრულის ყურადღების და თანაგრძნობის ღირსია ეს წინადადება. თუ დეპარტამენტის აზრი სისრულეში იქმნა მოყვანილი, ორივე მხარე დიდს სარგებლობასა ჰნახავს: მწარმოებელი კარგ ფასად გაჰყიდის თავის ნაშრომსა და სამხედრო უწყებასაც უფრო იაფად დაუჯდება, ვიდრე აქამდინ უჯდებოდა. აქამდინ მთელი მოგება იჯარადრებისა და ჩარჩების ჯიბეში ჰრჩებოდა და ამასთანავე მოიჯარადრები მწარმოებელსაც სცარცვავდნენ და სამხედრო უწყებასაც ატყუებდნენ; ხეირს არც ერთს აძლევდნენ, არც მეორესა. რასაკვირველია, ძრიელ სასურველი და სასიამოვნო იქნებოდა, რომ მწარმოებელისა და სამხედრო უწყების შორის ისეთი შუამავალი ყოფილიყო, როგორც მაგალითად, სამეურნეო საზოგადოება, რომელიც ორსავე მხარეს ინტერესებს მტკიცედ დაიცავდა და ერთსაც სარგებლობას მოუტანდა, მეორესაც. ამ საქმეს დახანება აღარ უნდოდა და საზოგადოებას, რაც შეიძლება, მალე უნდა განეხილა დეპარტამენტის წინადადება და ასე თუ ისე გარდაეწყვიტნა. მაგრამ, სამწუხაროდ, ჩვენი სამეურნეო საზოგადოება როგორღაც აგვიანებს თურმე ამ საქმესა. საზოგადოებას დეპარტამენტის მოწერილობა გარდაუცია ერთის თავის წევრისათვის, რომლისათვისაც დაუვალებია, გასინჯოს ეს წინადადება და საზოგადო კრებას წარმოუდგინოს თავის მოსაზრებანი ამ საგნის შესახებ. მაგრამ, როგორც ისმის, საზოგადო კრება შემოდგომამდე აღარ იქნებაო და ასეთი საჭირო და საჩქარო საქმე-კი მანამდისინ ძრიელ დაიგვიანებს. საჩქაროვო, ვამბობთ იმიტომ, რომ შემოდგომისთვის მწარმოებელს, მიწის მუშას, მოხარჯე ხალხს ხარჯის დრო მოადგება და ამ ხარჯს ისევ თავის ნაწარმოებით უნდა გაუძლვეს. ეს ნაწარმოები უნდა ფულად აქციოს და მაშასადამე ისევ ფულიან კაცებს, ჩარჩებს უნდა მიჰმართოს. ეს რომ არ მოხდეს, კარგს იზამდა სამეურნეო საზოგადოება, რომ ეხლავე გაემართა საგანგებო კრება განსაკუთრებით ამ საქმის განსახილველად და საჩქაროდ გარდასაწყვეტად. ამითი საზოგადოება თავის სასახელოდაც დიდს საქმეს ჩაიდენ და და ჩვენის ქვეყნის მეურნეობასაც დიდს სამსახურს გაუწევდა.

## ახალი ამბავი

*** ბანკის კრებანი გათავებულა ქუთაისში 14 მაისს. ბანკის გამგებლად ამოურჩევიათ ისევ წინანდელი გამგებელი დ. დადიანი. ზედამხედველის კომიტეტის ორის წევრის მაგიერ, სახელდობრ დ. მიქელაძისა და ნ. თაყდგირიძისა, რომელნიც რიგით გამოსულან, აურჩევიათ დ. ლორთქიფანიძე და ლ. ასათიანი.

*** 17 მაისს მუშტაიდის ბაღში გამართულმა სეირნობამ და ლატარიამ ჩინებულად ჩაიარა. დღეც და საღამოც მშვენიერი იყო. ხალხი დიდძალი მოაწყდა მუშტაიდის ბაღს, რომლის შესავალი კარი მორთული იყო ყვავილებითა და ხის ფოთლებითა. ბევრი იყო უფრო ქართველობა, სომხობა და რუსობაც საკმაოდ დაესწრო. თათრობაც არა ყოფილა ცოტა. თვით მოედანი მუშტაიდისა სასიამოვნო სურათს წარმოადგენდა.—ხუთს-ექვს ალაგას ფარდულებში ისყიდებოდა ლატარიის ბილეთები, ბილეთებს ჰყიდნენ მომეტებულ ნაწილად ქართველი ქალები. ერთს კუთხეში, მოედნის დასავლეთისკენ, დიდი ფარდული იყო გამართული. ამ ფარდულში კიბე-კიბე ბაქნებზე ლამაზად დაეწყოთ მოსაგები და ლატარიაში სათამაშებელი ნივთები, რომელთა შორის ხალხის ყურადღებას იზიდავდა უფრო ვერცხლის სამოვარი და ოთხი ოც-და-ხუთ-მანათიანი ბილეთი. მეტად კარგი იყო აგრეთვე მოსკოვიდამ მოსული ნივთები. სამხრეთისკენ, დიდ-გრძელს კარავს ქვეშ, „ბუფეტი“ იყო გამართული. იქ ისყიდებოდა სხვა-და-სხვა ხილი, ჩაი და სასმელები. ორი ხორო მემუსიკეთა თითქმის განუწყვეტლივ გრგვინავდა, ორი ხორო რუსის მომღერალთა თავ-განწირვით გაჰკიოდა გუნდ-გუნდად სათქმელს სიმღერებს, დასტა მეზურნეებისა გატაცებით უკრავდა ზურნას შემოსავალ კარებს ახლო და იზიდავდა მდაბიო ხალხს. ლატარიის ბილეთები სულ გაიყიდა. ვერცხლის სამოვარი ერგო ერთს შემძლებელს კაცს, გვარად ყალამქაროვს. ერთი 25 მანათიანი ერთს პატარა ყმაწვილს ერგო. საღამოზედ, ესე $8^{1}/_{2}$ საათზედ, აუშვეს შუშხუნები. სეირნობა გათავდა ცხრა საათზედ. ათს საათზედ ხალხი დაიშალა და მუშტაიდის ბაღი დაცარიელდა. წერა-კითხვის საზოგადოებას ბლომად დარჩებოდა შემოსავალი, თუმცა ხარჯიც ბლომად იყო. ანგარიშს სეირნობისას და ლატარიისას თავის დროზედ დავბეჭდავთ ჩვენს გაზეთში.

გამგებელნი სეირნობისა და ალეგრისა დიდს მადლობას სწირავენ ყველა იმათ, ვინც ლატარიისათვის შესწირა თავის მაღაზიებიდამ სხვა-და-სხვა ნივთები სათამაშებლად და იმათაც, ვინც შრომა და ჯაფა არ დაზოგა ასეთის სამადლო საქმის დახმარებისათვის. შემომწირველნი იყვნენ: თ. ივ. კ. მუხრან-ბატონი, თ. ზ. ვახვახიშვილი, მარიამ კრამერი, ი. ჯაეროვისა, ელ. ინანაშვილი, ივ. ბებურიშვილი, ბ-ნი ი. ი. ერეიე, და ტფილისის სოვდაგრები: ს. ჩარახჩიანოვი, მირიმანოვი, ამირაღოვი და უზბაშევი.

*** ბ-ნს მიხეილ ნასიძეს დაუბეჭდია მეორე წიგნი ქართველთ-მწერლებისა. ამ წიგნს ეწოდება „დავით

# ფელეტონი

## ედიშერ ქველზაქიანი

### მოთხრობა

(შემდეგი*)

### VIII

„მოხარშულმა ვარიამ“ დაინახა თუ არა ვარდენ ვაჩეშვილი და ბანკის მმართველი, თითქოს ძალი მოიცაო, წამოდგა და ასე დაიწყო: „ბატონებო, აქ დასამალავი აღარა არის-რა. თვით უეზდის მარშალი, ვარდენ ვაჩეშვილი, გავლენის მქონი კაცია. გინდ მაგისთვის გვიკითხავს და მაგისი რჩევა მოგვისმენია, გინდ მთელი საზოგადოებისა, სულ ერთია. ჩვენი საზოგადოების ავი და კარგი მაგას ხელის გულზე უწერია. თვითონ ეგ არის ჩვენი საზოგადოების ყური და ენა. ახლა მე მინდა „ოჩან ჯორს“ დავუმტკიცო: ის შემცდარი აზრისა არის, თუ ფიქრობს, რომ ჩვენმა ბანკმა ას ოცი ათასი მანეთი ზარალი ნახაო. რათა, ბატონებო, რა ზარალი ნახა? განა ჩვენ ეს ფული დავკარგეთ? განა ას ოცი ათას მანეთში ორი იმოდენი ფასის მამულები არ დაგვრჩა? იცით ეს მამულები როგორ არიან დაგირავებულები ბანკში?—მესამედ ფასად. ას ოცი ათას მანეთში სამასი ათასი მანეთის მამული გვიჩირავს. წაგებაში კი არა, მე მგონია, დიდს მოგებაშიაც ვართ, ერთი სამად მოგებაში. ჩვენს თავენს არა მოჰკლებია რა; კიდეც მოემატა, ბევრით მოემატა და ამას გარდა ნაღდი შემოსავალი სამოც-და-ათი ათასი მანეთი ხელთა გვაქვს. რატომ არ უნდა დავურიგოთ იქიდან ბანკის გამგებლებს მათი შრომის ფასი? რატომ არ უნდა გაუკეთოთ იმათ გული ამ ნაირი დაჯილდოვებით, რომ შემდეგ უფრო გულს-მოდგინეთ იშრომონ?..

— ეგ სულ თვალთ-მაქცობაა—დაიყვირა გახარებულმა „ოჩან ჯორმა“. საქმის გაუცნობელს კაცს ეგ მართალი ეგონება. ერთი იოტის ოდენა მართალი არ უთქვამს „მოხარშულს ვარიას“, თუმცა ნახევარი საათი-კი ილაპარაკა. ბანკზე დარჩენილი მამულები ნაღდ კაპიტალად მიაჩნია. თუ აგრე იყო, რატომ მყიდველი არავინ გამოუჩნდა იმ მამულებსა? რატომ პატრონებმაც და მყიდველებმაც ერთბაშად შემოგვატოვეს ხელში. ვინ სულელი იქნება, კარგს რასმე სალირალს ხელიდან გაუშვებს. ალბად, ეგ მამულები იმ ფასადაც არ ღირან, რამდენშიაც დაგირავებული ყოფილან, თორემ შეუძლებელი იყო ან პატრონს არ შემოეტანა სარგებელი, ან სხვა გარეშე ვინმე არ გამოსჩენოდა მოვაჭრე. განა არ ვიცით, რა ნაირად იყიდებიან ის მამულები, რომელნიც ბანკს დარჩენ? ზოგში ბანკმა იზარალა ხუთასი თუმანი, ზოგში ათასი, ზოგში ოც-და-ათი ათას მანეთსაც იზარალებს დღეს, ნეტაი მყიდველი გამოჩნდეს სადმე.. ამისთვის ძალიან უსაფუძვლოდ მიმაჩნია ის აზრი, ვითომც სამოც-და-ათი ათასი მანეთი, პროცენტებით რომ არის შედგენილი, ნამდვილი მოგება იყოს. არა, სანამდის ამ ფულებზე მომეტებული ფასის მამულები უქმად უყრია ბანკს, მანამდის ბანკი ზარალშია და არც ბანკის გამგეობის წევრებს ერგებათ იქიდან არაფერი. ის კი არა, ბანკის მმართველი შტრაფის ღირსიც არის, რადგან ისეთი მამულები მიუღია გირაოს ქვეშ, რომ გატანილ ფულადაც არ ღირებულან...

— მაშ თქვენ რაღათ ამბობთ, იმ სამოც-და-ათი ათასიდან სააზნაურო სკოლას მიეცეს ნახევარიო,—მოუჭრა სიტყვა „მოხარშულმა ვარიამ“. თუ სულ ზარალია, აღარც სკოლას ერგება არაფერი, მაშ სკოლაც დავხუროთ.

— თუ ჩვენ არ გვერგება პროცენტები, არც სკოლას უნდა ერგოს— წამოიძახა ჯავრით შეწითლებულმა ბანკის მმართველმა. ეგ სკოლა ხარჯისა და დავიდარაბის მეტი მაინც არა არის-რა.

„ოჩანი ჯორი“ უწინაც არ ყოფილა მაღალი აზრისა ბანკის მმართველზე, მაგრამ ამისთანა ცუდმა ლაპარაკმა და დამუქრებამ სულ შეაძულა ეს თავის სარგებლობის მეძიებელი კაცი.

— განა მაგ საშუალებასაც მიჰმართეთ?.. თუ მე არ მომეცემა პროცენტები, ნურც სათავად-აზნაურო სკოლა იქნებაო. ეგ არის თქვენი გულშემატკივრობა საზოგადოებისადმი?.. ჩემი ურგები წყალსაო!. აი ე მაგ სიტყვებით ცხადად დავინახე თქვენი სურათი, ბატონო, ბანკის მმართველო! ამიერიდგან, იცოდეთ, მე პირადად თქვენი მტერი ვარ, თქვენი!— გაჯავრებული დაემუქრა ბანკის მმართველს „ოჩანი ჯორი“.

— როგორ გეკადრებათ პირადობაზე გადასვლა იქ, სადაც სამართლით უნდა აიხსნას ყოველი კითხვა,—ჩამოვარდა შუაში „მოხარშული ვარია“. მე სრულიად ეგრე არ ესჯი მაგ საქმეს. ბანკის წესდების ძალით ვაჭრობით დარჩენილი მამულები იმ ფულების სამაგიერონი არიან, რომელნიც თქვენ ზარალად მიგაჩნიათ, ე. ი. ჩვენ

*) იხ. „ივერია“ № 96.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გურამიშვილი“ და დანიშნულია სახელმძღვანელოდ მასწავლებელთა ქართულის ენისა და ლიტერატურის შესწავლისათვის. წიგნი შეიცავს წინასიტყვაობას, დავით გურამიშვილის ბიოგრაფია და რჩეულს ლექსებს პოეტისას ძნელის სიტყვების განმარტებითა და ისტორიულის შენიშვნებით. ფასი წიგნისა ერთი აბაზია.

*** ამ თთვის 14-ს ჩვეულებისამებრ ბევრი მლოცავი ყოფილა თელეთში როგორც ქალაქიდგან, აგრეთვე შორეულ სოფლებიდგანაც, მაგრამ ბევრი უბედურობაც მომხდარა: ერთი კაცი გაუცარცვავთ და მოუკლავთ. მლოცველებს დაბრუნების დროს დიდი წვიმა მოჰსვლიათ, მოვარდნილა ნიაღვრები, ადიდებულა უცბად ხევი და დედა-შვილი დაურჩვია. სხვები-კი ძლივს გადარჩენილან ამ ხიფათს. მლოცავი ავადმყოფები უფრო ავად გამხდარან და ერთი კიდეც მომკვდარა.

*** ქუთაისის სათავად-აზნაურო ბანკს გადაუდვია 500 მან. საკუთრად წინამძღვარიაანთ სკოლისათვის-კი არა, იმ 8 მოსწავლეთათვის შესაწევრად, რომელნიც ქუთაისის გუბერნიიდამ არიან და დიდს გაჭირებას ითმენენ პანსიონის უქონლობის გამო.

*** კავკავიდამ გვწერენ, რომ ჩვენს ქალაქში ძალიან ბლომად არიან ქართველები. ამ ქართველების უმრავლესობამ ქართულის მეტი სხვა ენა არ იცისო. კავკავის ეკკლესიებში-კი არც ერთგან ქართულად არა სრულდება წირვა-ლოცვა, ისე რომ ამდენი მართლ-მადიდებელი ხალხი სრულიად მოკლებულია ქართულს წირვა-ლოცვასაო. აქაურმა ქართველობამ ამ საგნის თაობაზე მიართვა თხოვნა ყოვლად-სამღვდელოს ეპისკოპოსს იოსებს, მაგრამ ჯერ-ჯერობით ეს თხოვნა უყურადღებოდ არის დატოვებულიო.

*** სამეგრელოდამ გვწერენ, რომ ჩვენსკენაც შემოვიდა ახალ-დაბადებულ ყმაწვილების თავდანებება პატრონთაგანაო. ამას წინად, 15 მაისს, აბაშაში ერთს უშვილო კაცს მიუგდეს ღამე ახლად-დაბადებული ყმაწვილი, რომელიც მაშინვე ძიძასთან იქმნა გაგზავნილი ასაზრდელადაო.

*** ქართლიდამ გვატყობინებენ: სკრის ხიდზედ ბევრჯელ წერებულა, მაგრამ ის კი არავის უთქვამს, თუ როგორ არის გაფუჭებული, რა მიზეზისა გამო და რამდენად ადვილია მისი შეკეთება, რომ მთელი ერთი მხარე დაიხსნან გაჭირვებისაგან. ბურჯები ხიდისა ძალიან მაგარია და არც ერთი არ არის თურმე შერყეული. ამას წინად სკრის ხიდის ზემოდამ ვილაც გორელ კაცს ბორანი გაუმართავს. ამბობენ, რომ ბორანის პატრონს სკრის ხიდზე ფიცარი აუყრია აქა-იქა, მოაჯირები მიუშლ-მოუშლია და მისავალი ალაგი კი სულ აუფუთკნია. რასაკვირველია, აქ დიდი ლარი და ხაზი არაა საჭირო, რომ კაცი მიჰხვდეს, თუ რად გაუოხრებია ასე სკრის ხიდი იმ კაცსა? ამიტომ რომ იმის ბორანზე ვინ გავიდოდა, როცა ხიდი ცხვირ წინ ექმნებოდა; ადგა და აფუთკნაო. ამ ჟამად ქვეითი ხალხი დადის, ფიცრები გაუყრიათ და ზოგს გამბედავს კაცს ცხენიც გაჰყავს. რადგანაც ბურჯები მაგარი ყოფილა, მაშ მარტო ზედა-პირს მოუნდება შეკეთება და რა მადლი იქმნება მთელის ორის ხეობისათვის, რომ მალე გაკეთდეს.

*** სოფ. ატენიდამ გვწერენ: აგერ თითქმის ორი წელიწადი მეტია, რაც ატენის ხეობაზე თ. ზ. ე—ს ტყე აიღო მთელმა კამპანიამ და ეზიდებიან ფიჭვ-ნაძვის ხე-ტყესა. გამართეს გორის რკინის გზის სადგურთან ქარხანა; ამ ადგილიდამ თითქმის მთელს ატენის ხეობაში გაიტანეს რკინის გზა; შიგ ატენში გამართეს სამხერხაო. ხე-ტყეს ეზიდებიან გორში გამართულს ქარხანაში; აქ ეს ხე, „შპალი“ იხარშება და შემდეგ აქედ-იქით გზავნიან, ე. ი. აძლევენ რკინის გზებსა ლიანდაგზე დასაგებად. გამოხარშული ფიჭვი ბევრ ხანს სძლებს მუხაზეო. დიდძალი მუშა ხალხი დატრიალდა ამ ხეობაში: მოდიან კახეთიდამ, იმერეთიდამ, დაღესტნიდამ ლეკები და სხვანი.

*** გორიდამ გვწერენ: „ამ ჟამად ქართლში ახალი საქმე გაჩნდა. ამ გაზაფხულზედ უცბად ფაცა-ფუცით დაუწყეს ჭაჭასა და მთხლეს ყიდვა, ასე გასინჯე, გამოჰხდილს ჭაჭა-მთხლესაც-კი ყიდულობენ. ამ მთხლე-ჭაჭიდამ აკეთებენ ღვინის მარილსა, ქვასა და სხვა-და-სხვა გამოსაყენებელს ნივთიერებასაო. მთხლე-ჭაჭას ჰქაჯვენ და ისრე ჰგზავნიან მარსელში. ზოგმა აქვე სცადა გაკეთება და გაკეთებულის ნიმუში გაგზავნეს მარსელშივე. კაი ღვთის მოწყალებაა ხალხისათვის: აქამდის სულ ღორების საჭმელად იყო გამხდარი ჭაჭა-მთხლე; ვისაც შეძლება ჰქონდა, ჰხდიდა და ულონო კაცს-კი ხელიდამ ეცლებოდა ტყუილა-უბრალოდ; ეხლა-კი ორ შაურსაც რომ გამორჩეს, კაი ყაირათია. თუ ამასაც არა უხიმანეს-რა, ძალიან კარგი საქმე მოუვა ხალხსა.“

*** გორიდამვე გვატყობინებენ, რომ აქ ერთს სახლობაში, სახელდობრ გრ. თუთუნოვის სახლში, აღმოჩნდა ძველი ქართული გაზეთი: «ტფილისის უწყებანი», ჩყკშ (1829) წლისა. გაზეთის რედაქტორ-გამომცემელი არა სჩანს, რადგან არა სწერია ზედა, მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ ამ დროს გაზეთს ჰბეჭდავდა განსვენებული ს. დოდაევი. გაზეთის სათაურს სიტყვებს შუა არის აღბეჭდილი წმინდა გიორგი; გარს უვლია ყვავილებით შემოჭედილი არშია; ზემოდამ დახატულია გვირგვინი და ქვემოდ ზის რუსული ასო Н, რომელიც აღნიშნავს, რომ ნიკოლოზ პირველის დროს გამოდიოდა. ეს ნომერი თითქმის „დროების“ ოდენაა, ცოტა რამ ნაკლები; თითო გვერდი გაყოფილია ორ სვეტად. ამავე გაზეთის ნომერი, უფრო ადრეული, სხვა სახლობაშიაც აღმოჩნდა. ორთავე ნომრებს გამოუგზავნით „წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნთ-საცავსა, უკეთუ პატრონები დაეიყაბულეთ, რადგანაც ამ ძველს გაზეთს ერთობ უფრთხილდებიან და არ უნდათ ვისმეს დაუთმონ სამუდამოდ.

*** 17 მაისს, 1 ნაწილში, გრიბოედოვის ქუჩაზე იპოვეს ერთის თთვის პატარა ქალი. პატარა ყმაწვილი საბებიო ინსტიტუტში გაჰგზავნეს.

*** 16 მაისს, მე-10 ნაწილში, დროებით შინ დათხოვნილი ჯარის-კაცი სტანისლავი ლიუტინსკი აბანავებდა მტკვარში ცხენებს და თავის გაუფრთხილებლობის გამო დაირჩო. გვამი ჯერ არ უპოვნიათ.

*** 17 მაისს მიიყვანეს ტფილისის სამკურნალოში გორის მაზრის სოფელ კიპრულის მცხოვრებელი ილია შიუკაშვილი, რომელიც უეცრად გარდაიცვალა. გამოძიება სწარმოებს.

*** 17 მაისს 1 კლასიკურს გიმნაზიაში სამზარეულოს ბუხრიდამ ცეცხლი გაჩნდა. ცეცხლი ცეცხლის მქრობელმა რაზმმა გააქრო.

---

# დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

**სოფ. ნიგოითი** (გურია), 29 აპრილს. ვის არ გაუგონია გურულების ხანგრძლივის სადილებისა და ქეიფის ამბავი? გურულები ძველად ნაქები იყვნენ ლხინით, სტუმართ-მოყვარეობით და ყოველ გვარის შექცევით, მაგრამ დღეს-კი ყველა ყურ-ჩამოშვებულია. იშვიათად გაიგონებთ იმ მშვენიერ სიმღერებს, რომლის სმენითაც ვერც კი გაძღებოდით და თუ გაიგონებთ, იმასაც შეკვეთით თუ. სიმღერა და ისიც შეკვეთით სიმღერა, როგორც მოგეხსენებათ, ერთმანერთს ვერ ეწყობა. სიმღერა მაშინ არის კარგი, როცა მომდინარეობს გულის ვნებისაგან და არა ვისისამე ბრძანებითა, ან თხოვნით. ნეტავ რა უნდა იყოს მიზეზი? მიზეზი შარშანდელი წელია. შარშანდელმა წელმა, მეტადრე ჩვენ გურულები, მეტად გულ-ნაკლულად დაგვტოვა. ამ აღდგომის კაი დღეებში ერთი ჭიქა ჩხავრის წვენი არ გადაგვიყლაპავს! მოდი ეხლა და ამ ულვინობაზედ სტუმრის მოსვლა გაგიხარდეს, იმღერე და ილხინე!... ღვინომ კიდევ თქვენი ჭირი წაიღოს, წყლითაც მოვიკლავთ წყურვილს, თუმცა ნიგოითში ხეირიანი წყალიც არ არის,—მაგრამ უპურობას რაღა ეშველება. დიდი, დიდი, თუ ბევრს ჩვენგანს სიმინდი მაისამდე მიგვყვა!

შარშან აზნაური და გლეხი ყველა თუთუნს მოეკიდა, ჰფიქრობდნენ, რომ თუთუნის ფასით სიმინდსაც ვიყიდით და ცოტა კიდეც გადაგვრჩებაო, მაგრამ, შენი მტერი, ჩვენ თუთუნის გაყიდვას ვერ ვეღირსეთ. ბევრს, კაი ხანია, ახალი თუთუნი დადებულ-დაკეცილი უწყვია და ბევრსაც ასს და ათასს ფუთობით ძველი ორისა და სამის წლის გაუყიდველი თუთუნი ულაგია, მაგრამ მუშტარი არსაითა სჩანს. ამ მიზეზის გამო ბევრს გული აუცრუვდა და თუთუნის მოყვანას წელს თავი დაანებეს.

თბილს ზამთარს დაჩვეული გურულები მეტად შეაწუხა წრევანდელმა ზამთარმა. არც საკვები საქონლისათვის, არც შეშა საკმაოდ გამზადებული ჩვენ არ გვქონია და, იმდენი ჭირი აგვშორდესთ, რამდენი კაცი და საქონელი ამ ზამთარმა იმსხვერპლა. ზამთარი სამ თთვეს გრძელდებაო, იტყვიან,—მეოთხე თთვე მარტიც მისი ფეშქაში უოფილიყო, ოღონდ ამ აპრილში კი მოგვესვენებინეთ.

ამ ზამთრის გამოისობით უმეტესს ნაწილს ჯერ კავისათვისაც არ მოუკიდნია ხელი. აბა რა მოგვესწრება და როდის? ამბობენ, ეს ზამთარი ვაზებს გამოაკვეთებსო. იქნება ასეც იყოს, მაგრამ მარტო ღვინო ხომ კუჭს ვერ გაგვიძღობს.

ნიგოითი ერთი ულამაზესთაგანი სოფელია მთელს გურიაში. აქაური სახნავ-სათესი, ტყე და საბალახო საზატონოა. დიდის სიხარულით მივეგებენით რკინის გზის გამოყვანას და მის სადგურის გაკეთებას ნიგოითში; ვფიქრობდით, რომ სამუშაოს ვიშოვით, ცოტას გამოვრჩებით რასმეო, მაგრამ ჯერ ზარალის მეტს სარგებელს ვერასა ვხედავთ. ვინ მოსთვლის რამდენი, რის კაი-კაცობით ამ ზამთარში გამოკვებილი, საქონელი გაგვიწყვიტა ამ რკინის გზამ. ხშირად მომხდარა ასეთი ამბავი: გლეხს ერთად-ერთი ხარი ჰყავს; ვნახოთ და გაიგებს, რომ ორთქლით მატარებელს მოუკლავსო, და მადის, რომ მისი ლეში ჰნახოს. რკინის გზის მსახურები, დანებით აღჭურვილნი, ხარს ატყავებენ და პატრონს ეკითხებიან: ვისია, არ იციო? პატრონი კი თვალებზედ მომდგარ ცრემლების ულაპვით ეუბნება: არ ვიცი, ბატონო, ჩემი არ არისო. მართლის თქმისა ეშინიან: იცის, რომ ოც-და-ხუთ მანათს გადაახდევინებენ, თუ სთქვა, რომ ჩემიაო.

ამას წინად რკინის გზის სადგურის უფროსად ნამყოფმა ნიგოითში ერთი უცნაური წესი შემოიღო: ვისაც წერილი მოუვიდოდა, 3 კაპეიკს ართმევდა ყველას. ეს ახირებული ხარჯი და ბეგარა, რასაკვირველია, მალე მოისპო.

აპრილის 7-ს ნიგოითში გამართული იყო საქველ-მოქმედო აზრით წარმოდგენა. ითამაშეს გ. ერისთავის „მუნწი“ და აკაკის „ბუტიაობა“. ამავე თთვის 9-ს ესევე პიესები ითამაშეს დაბა ლანჩხუთში, მაგრამ სამწუხაროდ შემოსავალმა გასავალიც ძლივს დაჰფარა. საზოგადოება კმაყოფილი დარჩა. ვინც ამ წარმოდგენებზე ვერ დაესწრო, ითხოვეს გაემეორებინათ, მაგრამ რადგანაც სხვა-და-სხვა მიზეზების გამო განმეორება მოუხერხებელი იყო, ზაფხულში ჰფიქრობენ სხვა პიესების თამაშს.

მადლობას ღირსია ქ. ალ. სურგულაძისა, რომელმაც დიდი შემწეობა აღმოუჩინა მეთაურებს ამ წარმოდგენის გამართვაში. მადლობის ღირსნი არიან ისინიც,

---

ეს მამულები სესხში გვეიყიდნია. მაშ ვინც სახლს და ადგილ-მამულს ყიდულობს, ფულებს აძლევს შიგ, ყველანი ზარალში ყოფილან? იმათ ფულები დაუკარგავთ? აბა, რა აზრია ამისთანა დასკვნაში? მართალია, ჩვენ დღეს მამულები გვაქვს ფულების მაგიერად; მაგრამ ხვალ იმ მამულებს გავყიდით, ფულები შემოგვივა. ამ შემთხვევაში გირაოების სარგებლიდან შედგენილი ფულები—ის სამოც-და-ათი ათასი მანეთი—მაინც ხომ შემოსავლად ითვლება?.. იქიდან თუ სკოლას მიეცემა ნახევარი, მაშასადამე, თანახმად ბანკის წესდებისა გამგეობასაც უნდა მიეცეს მისი წილი. თუ გინდათ კანონისამებრ მოიქცეთ, ასე უნდა გადაწყვიტოთ; თუ არ გინდათ, ეგ სხვა არის.

— არა, რა გეჩქარებათ ბანკის მოსამსახურეებს პროცენტების აღება. ჯამაგირები ხომ გაქვთ პროცენტებს გარდა. მოუცადეთ, სანამდის ეგ დარჩენილი მამულები გაიყიდებოდეს და თუ ბანკი ზარალს არ ნახავს, კეთილი და პატიოსანი, მაშინ მიუსაჯეთ მოსამსახურეებს პროცენტები. ყველანი მადლობელნი დაგრჩებით და არც არავისი საყვედური არ გექნებათ, მაგრამ არა, თქვენ ყველამ ზედ-მიწევნით იცით, რომ ბანკი ზარალს არ ასცდება; იცით, რომ მაშინ პროცენტებს საუკუნოდ უნდა გამოეთხოვოთ. ამიტომაც დღეს გინდათ საზოგადოებას თვალები აუხვიოთ, უჩვენოთ მხოლოდ ნაღდი შემოსავალი, ზარალი არ მოიხსენოთ, ყრუდ გამოთქვათ, ამდენი და ამდენი მამული დარჩა ბანკს ტორგითაო და მერე პროცენტები ასწაპნოთ. ვერ ჭამა კატამ ნიორი. თვით საზოგადოების წინაშე გადმოეშლი ნამდვილს მდგომარეობას ჩვენის ბანკისას, —გაათავა ბასი „ოჩან ჯორმა“.

— ძალიან კარგი იქნება, ჩვენც ეგ გვინდა,—თქვა ბანკის მმართველმა. დაუმტკიცე საზოგადოებას, რომ ბანკს ზარალი აქვს მოგების მაგიერად-თქო, და მერე სკოლისათვის გადაგითვლის ფულებს, როგორ არა? გახვრეტილს კაპეიკსაც ნუღა ელი მისგან. თუ-კი თქვენ აიტანთ სკოლის დახურვას, მე და ჩემი თანამშრომლებიც დიდი სიამოვნებით ავიღებთ ხელს პროცენტებზე, — გაჯიბრებით უთხრა ბანკის მმართველმა.

— რას ბრძანებთ? თვალების ქაჩვით უთხრა „ოჩან ჯორს“ ვარდენ ვაჩეშვილმა. ხუმრობთ, თუ მართლა ამბობთ? რა დროს ხუმრობაა! აქ გითქვამსთ და სხვაგან არსად წამოგცდესთ. მაგ ამბავს რომ საზოგადოებამ ყური მოჰკრას, თავს მოიკლავს და ერთ კაპეიკსაც აღარ მოგცემსთ აღარც სკოლისათვის და არც სხვა საქველ-მოქმედო საქმეებისათვის. თავად-აზნაურობა უიმისოდაც გაბრაზებულია მამულების გაყიდვაზე და ახლა ეგეც რომ წამოგცდეთ, მთელი კრება ითხოვს მინისტრთან, ბანკი დაიხუროსო. მაშინ რაღას იქთ, ან სკოლა როგორ იწარმოებს, ან სხვა კეთილ-საქმეებისათვის ვინღა გამოიმეტებს კაპეიკსა?

ბანკის მმართველი მოწონების ნიშნად თავს უქნევდა ვარდენ ვაჩეშვილს. „მოხარშული ვარია“ სულ გამხიარულდა.

„ოჩანი ჯორი“ სიფიცხისაგან ულვაშებს იკვნეტდა; მაგრამ შიშით ვეღარა გაამხილა-რა. იმან კარგად იცოდა ვარდენის გავლენა საზოგადოებაზე. რასაც ის ეტყოდა საზოგადოებას, იმას აასრულებდნენ. „ოჩანი ჯორი“ მხოლოდ დაკოდილი დათვივით ბურდღუნებდა:

— სად სკოლა და სად მოსამსახურეების პროცენტების აღება?! სკოლა საზოგადო საქმეა. ბანკმა რომ კიდეც ვერ შესძლოს სკოლის რჩენა, თვით საზოგადოებამ უნდა დაიდვას თავზე სკოლის ხარჯი. ამ ნაირი დამოკიდებულების გასკვნა სკოლისა და ბანკის გამგეობის პროცენტების აღების შორის წმინდა შანტაჟია, მეტი არაფერიო.

მაგრამ მის ლაპარაკს ყურადღებას აღარავინ აქცევდა, რადგან ლოჯი ჰქონდა მოტეხილი. ყველა დარწმუნებული იყო, რომ ვარდენის ლაპარაკს შემდეგ „ოჩანი ჯორიც“ ხელს მოაწერდა კამიტეტის გადაწყვეტილებაზე.

ზედამხედველმა კამიტეტმა შესწყვიტა ბაასი. პროტოკოლის წერას შეუდგნენ. ამასობაში კამიტეტის თავსმჯდომარე, გამოვიდა დარბაზში და გამოუცხადა კრებას, რომ ხვალ ათს საათზე მობძანებულიყვნენ წლიურის ანგარიშის მოსასმენად და შემდეგ კენჭის საყრელად.

მესამე საათი შესრულდა. ბევრს სოფლის თავადსა და აზნაურს გული მისდიოდათ შიმშილით. ეს ამდენი ხალხი ერთს წუთას გაიკრიფა ბანკის დარბაზიდგან. ვარდენ ვაჩეშვილი და ბანკის მმართველი ხელი-ხელ ჩაკიდებულნი, გამარჯვებულნი მცინარა სახით გამოვიდნენ გარედ, ჩასხდნენ ფაეტონში და გაუტიეს შინისკენ.

### IX

მაისის 15-ს 188* წ. ბანკის დარბაზში მრავალი თავად-აზნაურობა შეყრილიყო. ყოველივე წინ-დაყენებუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვინც-კა მონაწილეობას იღებდნენ ამ საქმეში.

ბოლოს ვისურვებთ, რომ ჩვენ პროვინციელ სცენის მოყვარეთ დაენახვებინოთ ხალხისათვის, რომ თეატრი არა მარტო გასართობია, არამედ სკოლაც არის და სწრთვნის სულსა და გონებას.

ივანეს იასონ

---

**ქვედა-აჭარა**, 5 მაისს. ჩვენს აჭარაში ამ ხანებში მოხდა რამდენიმე გლახა ამბავი: სოფელს წონიარისში მოჰკლეს საზიზღრად ერთი დედა-ბერი იმ დროს, როცა საცოდავი მიდიოდა მეზობლისას. გზაზედ საწყალობლისათვის ორი თოფი უსვრიათ და ისეც ბევრი უცემიათ და მოუკლავთ. ჯერ გამომძიებამ მკვლელები ვერ აღმოაჩინა. მდაბიო ხალხში ლაპარაკობენ, ვითომ უბედური დედა-ბერი კუდიანი იყო და იმისთვის მოჰკლესო.

—

სოფელ შივახევშიაც ერთი ქალი თავის გერს ქალს მოუკლავს და წყალში გადაუგდია. როგორც ამბობენ, ამ ქალს ეს საზიზღარი საქმე მისთვის მოუხდენია, რომ თავის მამის სიკვდილის შემდეგ მასი ქონება თავად დაენარჩუნებინაო. გარდაცვალებულის გვამი ჯერაც ვერ უპოვნიათ.

—

სოფ. ნამლისში ხუსეინ-აზნაურ-ოღლის სახლს მიეპარა ღამით ვიღაცა ავაზაკი და ესროლა თოფი იმ ადგილას, სადაც, იმის აზრით, ხუსეინ აზნაურ-ოღლის უნდა სძინებოდა. მაგრამ ღმერთმა იპატივა ის კაცი. ის იწვა იმ ღამეს მეორე ოთახში სტუმართან ერთად. იმის საწოლზედ-კი იწვა იმ დროს მისი ცოლი პატარა ყმაწვილით. ღმერთმა გადაარჩინა ისინიც. ტყვიამ თავზედ გადუარა და ცოცხლები გადარჩნენ.

—

სოფ. ცხმორისში ერთი საცოდავი ფუხარა*) სახელად მემიშა-ქემალ-ოღლის ღამით გაუჩნდა ცეცხლი იმ დროს, როცა თვითონ სახლში არ იმყოფებოდა. დაეწვა სახლი, ბეღელი და სხვა შენობები, სიმინდი, პირუტყვები, საქონელი და სხვა ნივთები, რაც რამ ებადა. სულ ზარალი მიეცა საწყალ ფუხარას ექვს ასის მანათისა. ეხლა ის ფუხარა თავის ცოლ-შვილით მთხოვრად დაიარება.

—

წრევანდელი უშველებელი ზამთარი ძლივს გავატარეთ და გაზაფხულს მოვესწარით, მაგრამ ამ გაზაფხულს იმისთანა გვალვა არის, რომ ხვნა და თესვა არ შეიძლება. ჩვენს ფუხარას ჯერ თესლი არ გამოუტანია მიწაში ჩასაჩნ-კად და ვგონებ აჭარაში წრეულს უფრო შიმშილობა ჩამოვარდეს, მინამ შარშან იყო.

აბდულ მიქელაძე

*) შეუძლებელი გლეხ-კაცი.

---

# უცხოეთი

**საფრანგეთი.** საფრანგეთის სამინისტროს კრიზისი ჯერ არ დაბოლოვებულა. პარიჟის გაზეთი „Soir“-ი ამბობს, რომ რესპუბლიკის პრეზიდენტს ურჩია დეპუტატთა პალატის პრეზიდენტმა ფლოკემ, რომ ფრეისინესა და გობლეს პოლიტიკას მისდიეთ და ნუ აუხვევთო. ყველანი იმ აზრისანი არიან თურმე ამ ჟამად საფრანგეთში, რომ სამინისტროს კრიზისი ჩქარა დაბოლოვდება, მთავარ-მინისტრად რუვიე იქმნება ამორჩეული და სამხედრო მინისტრიცა და ფლოტისა და დეპეშის მინისტრიც თავიანთსავე თანამდებობაში დარჩებიანო.

— პარიჟიდგან დეპეშით აუწყებენ გაზ. „Neue Freie Presse“-ს, რომ ძნელად თუ რომელსამე კაბინეტს მოურიგდეს ჟულ ფერრის დასი იმ დრომდე, ვიდრე ბულანჟე იქმნება ამ კაბინეტებში სამხედრო მინისტრადაო. ტყუილია ის ამბავი, ვითომ რესპუბლიკის პრეზიდენტს განზრახვა აქვს კლემანსოს მიანდოს კაბინეტის შედგენაო. ფრეისინეს-კი თათბირი ჰქონია კლემანსოსთან და კლემანსოს უთქვამს ფრეისინესათვის, რომ მოწინააღმდეგეთა დასს მივემხრობი, თუ შენ კაბინეტის მეთაურობას იკისრებო. ჩემის აზრით, ახალი სამინისტრო ან სულ ოპპორტუნისტთაგან უნდა იქმნეს შედგენილი და ან რადიკალთაგანაო. უკანასკნელთაგან მე თვითონ შევადგენ სიამოვნებით კაბინეტსაო.

— როგორც დეპეშებიდგანა სჩანს, სამინისტრო კრიზისი ისე არ აწუხებს ამ ჟამად საფრანგეთს, როგორც ის საკითხავი, რომ ბულანჟე ისევ დარჩება თავის თანამდებობაში, თუ გადაყენებულ იქმნებაო. ბერლინის გაზეთები, რომელნიც ამას წინად ისე ჰკიცხავდნენ და ჰკილავდნენ სამხედრო მინისტრის ბულანჟეს ყოველსავე მოქმედებას და დაუბოლოვებლად გაიძახოდნენ, რომ ბულანჟე ომს არის მოწადინებულიო და გერმანიისა და საფრანგეთის გადამტერება უდევს გულშიო, ეხლა როგორღაც მიჩუმდნენ და ბულანჟეზე ამ გაზეთებში ჩამა-ჩუმაც აღარ არის. პირ-იქით, ინგლისის გაზეთები-კი ძალიან მომხრეობენ ბულანჟეს. მაგალითებრ, აი რასა სწერს გაზ. „Standard“-ი ბულანჟეს სამინისტროდგან გადადგომაზე: საკვირველია, ნუ თუ საფრანგეთს არ შეუძლიან კარგი მინისტრი იყოლიოს ისე, რომ საფრანგეთის ერმა არ დასწამოს: მინისტრი ხალხს იბირავს თავისკენ, საფრანგეთის დამორჩილება განუზრახავსო. თუ კი გერმანიის ჯარს მეთაურად ისეთი ნიჭიერი კაცი ჰყავს, —სხვა ქვეყნების სამხედრო მინისტრებზე რომ არა ვსთქვათ-რა—როგორც მოლტკეა, რატომ საფრანგეთის ჯარს კი არ უნდა ჰყვანდეს გამოცდილი და ნიჭიერი მეომარი მეთაურად? როდის აქეთაა რაც დარწმუნდნენ, რომ თუ სამხედრო მინისტრი გამოცდილი და ნიჭიერი კაცია, ეს იმასა ჰნიშნავს, რომ ომი აუცილებლად მოხდება და მშვიდობიანობა შეუძლებელიაო. მას შემდეგ, რაც ბულანჟე სამხედრო მინისტრად იქმნა დანიშნული, ამ მინისტრს ჯერ არაფრით გამოუჩენია, რომ ბრძოლისა და სისხლის ღვრის მომხრე ვარო; პირიქით, ბულანჟე წყნარად და მშვიდად ასრულებდა თავის მოვალეობას და თუ რაშიმე ღირსია ბულანჟე კიცხვისა, მხოლოდ იმაში, რომ თავის მოვალეობას ძალიან მშვენივრადა და თავ-გამოდებით ასრულებდა. არ გვესმის, რად უნდა იცვალოს საფრანგეთმა ყოველ-დღე სამხედრო მინისტრი და გერმანიამ-კი არაო?

**გერმანია.** ზოგიერთს გერმანიის გაზეთებს რომ დაუგდოს ყური კაცმა, ასე ეგონება, რომ საფრანგეთს განზრახვა აქვს ომი გამოუცხადოს ამ დღეებში გერმანიასაო. მთელი ევროპა ამის გამო გაკვირვებულია და კითხულობს, რად სჩადიან ამას გერმანიის გაზეთებიო.

— ბერლინის გაზეთების სიტყვით, თოფისა და ზარბაზნის ქარხანას შპანდაუში დაუთხოვნია ასამდე მუშა თავის ქარხნიდგან და გამოუცხადებია ამას გარდა, რომ ღამ-ღამეობით მუშაობა აღარ იქმნება ქარხანაშიო.

**ავსტრი-ვენგრია.** ვენის ჟურნალ-გაზეთობა ამ ჟამად საფრანგეთის სამინისტროს კრიზისზედ ბაასობს და ლაპარაკობს. ამ გაზეთების სიტყვით, გობლეს სამინისტროს ძალიან კარგად ეჭირა თავი, მაგრამ პალატაში ცოტანი მომხრეობდნენ ამ სამინისტროს და იმან დაჰღუპაო. ვენაში იმ აზრისანი არიან, რომ კარგი იქმნება კაბინეტის მეთაურად ფრეისინე დადგებოდეს, ხოლო ისე-კი, რომ გენერალი ბულანჟე არ ერიოს ამ სამინისტროში და სამხედრო მინისტრის თანამდებობა სხვას მიენდოს, რადგან ვიდრე ბულანჟე სამხედრო მინისტრობიდგან არ იქმნება გადაყენებული, მანამდე გერმანია და საფრანგეთი ვერ მოურიგდებიან ერთმანერთსაო.

**ოსმალეთი.** სტამბოლიდგან დეპეშით აუწყებენ სამზღვარ-გარეთის გაზეთებს, რომ ამას წინად აქ სასახლეში დიდი შეთქმულობა აღმოაჩინეს, რომელსაც სულთანის ტახტიდგან ჩამოგდება ჰქონია აზრადაო. ოც-და-ხუთი მდივანი, კამერგერი და მარშალი დაუპატიმრებიათ; დაპატიმრებულთა შორის არის აგრეთვე პირველი სეკრეტარი მარშალის ალი-ნიზამი-ფაშისა, რომელიც სულთანის წარმომადგენლად იყო დანიშნული ინგლისის დედოფალ ვიქტორიას იუბილეიაზედაო.

---

# გასართობი

**ვინ ვის გამოაჯავრა.** ინგლისის ერთს ქალაქში ახალგაზდა გასათხოვარ ქალებს შეუდგენიათ ერთი საზოგადოება. ამ საზოგადოებას საგნად დაუდვია თურმე ახალგაზდა საცოლო კაცების გასწორება და სწორე გზაზე დაყენება. ამ საზოგადოების წესდებაზე ორმოც-და-ათს დასანიშნავ ქალს მოუწერია ხელი. ამ წესდებაში სხვათა-შორის ასეთი პირობაც არის თურმე დადებული: თუ ვინიცობაა, შევიტყეთ, რომ ახალგაზდა კაცი, რომელიც ჩვენგან რომელისამე ცოლად შერთვას მოინდომებს, —ღვინის სმას მისდევს და პაპიროზს ეწევა, უთუოდ ცოლობაზე უარი ვუთხრათო.

წარმოიდგინეთ, იქაურ ახალგაზდა კაცების უზდელობა! თურმე ნუ იტყვით, ძალიან სწყენიათ, რომ ქალებს ასეთი სასტიკი გარდაწყვეტილება რად დაუდგენიათო, და თითონაც ჯიბრზე ასეთი პირობა შეუკრავთ: რახან ასეა, ჩვენგანაც ნულარავინ შეირთავს ცოლად აქაურს ქალსაო. და მართლაც ყველას ახლო-მახლო ქალაქებში დაუწყვია საცოლოს ძებნა.

**

**როგორ უნდა ასრულებდეს სახამართლოს ბოქაული თავის მოვალეობას?** საქსონიის ერთს სახლის პატრონს ქალაქს ცინკაუში ახირებული საჩივარი შეუტანია სასამართლოს ბოქაულზე. ამ სახლის-პატრონს ერთს თავის ღარიბს მდგურზე საჩივარი შეუტანია სასამართლოში, ქირას არ მაძლევსო. სასამართლოს სახლის-პატრონის სასარგებლოდ გადაუწყვეტნია ეს საჩივარი და სასამართლოს ბოქაულისათვის მიუნდვიათ, რომ გადაახდევინე ფული მდგმურს სახლის-პატრონის სასარგებლოდაო. ბოქაული რომ მისულა ამ მდგმურთან, ისეთი სიღარიბე უნახავს და ისე შეჰბრალებია საბრალო მდგმური, რომ ამოუღია და, პირ-იქით, თავის ჯიბიდგან უჩუქებია ერთი მანეთი. სახლის-პატრონს საჩივარი შეუტანია სასამართლოს ბოქაულზე, რომ თუ როგორც კერძო კაცს ნება ჰქონდა ერთი მანეთი ეჩუქებინა ღარიბისათვის, როგორც სასამართლოს ბოქაული გალდებული იყო, სასამართლოს გადაწყვეტილების თანახმად, ესევე ერთი მანეთი წაერთმია და ჩემთვის მოეცაო.

---

# დეპეშა

16 მაისი

**ვენა.** აქ მოელიან ჩერნოგორიის მთავარს ნიკოლოზს თავის სახლობითა.

**ბრიუსელი.** მუშათა-შორის საფრანგეთის ემისარები დადიან და ხალხს აღელვებენ.

**ლონდონი.** გლაზგოვს ახლო ქვა-ნახშირის მადნებში აფეთქება მოხდა. 200-მდე მუშა დაიტანა მიწამ.

**პრესბურგი** (ვენგრიაში). ორს დღეს გასტანა აქ უწესოებამ ებრაელთა წინააღმდეგ. პოლიციამ დაამშვიდა ხალხი.

**პარიჟი.** ხვალ გამოცხადდება სია მინისტრებისა, რომელთ მოთავედ იქმნება რუვიე. ის ხმა, რომ ვითომ ბულანჟე დაინიშნება ელჩად პეტერბურგშიო, უარ-ყოფილ იქმნა.

17 მაისი

**პეტერბურგი.** გუშინ მოვიდა აქ რუსეთის ელჩი ბერლინში, გრაფი შუვალოვი.

**ვენა.** ჩერნოგორიის მთავარი იმიტომ მოვიდა აქ, რომ რჩევა ჰკითხოს ექიმებს თავის ჯან-მრთელობის თაობაზე.

**სტამბოლი.** იმის გამო, რომ შეთქმულობა აღმოაჩინეს ხონთქარის წინააღმდეგ, რამდენიმე დიდებუ-

---

ლი კითხვები დაებოლოვებინათ. ბანკის მოსამსახურენი დიდს მხიარულებაში იყვნენ, რადგან კრებამ გადასწყვიტა მათი პროცენტებით დაჯილდოება. „ოჩანი ჯორი“ ჯავრობდა. ყოველგან ქადაგობდა, რომ ბანკის მმართველებს არ ერგებოდათ პროცენტებიო. არც დაუმსახურებიათ, არც იყო რიგი, რომ გადაუწყვიტეს, რადგან ბანკს ბევრი ზარალი აქვსო. თავად-აზნაურობა ამისთანა ქადაგებას მნიშვნელობას აღარ აძლევდა. ზოგნი კიდეც დასცინოდნენ; სხვანი ასე ლაპარაკობდნენ: ეგ დალოცვილი მაშინ სად იყო, როცა ანგარიშებს არჩევდნენ? ბანკის მმართველებმა რომ სამოც-და-ათი ათასი მანათი ნაღდი შემოსავალი წარმოგვიდგინეს, მაშინ კრინტიც არ გაუღია და როცა ანგარიშები და ხარჯები დაეამტკიცეთ, ახლა მოჰყოლია წილადობილას, რა ანგარიშია არ გვესმისო?

ერთს განკერძოებულს მხარეზე ისხდენ მანდილოსნები და მათთან კავალერები. იმათ თუმცა კენჭი არა ჰქონდათ, მაგრამ დიდი ყურადღებით ისმენდენ ყოველსავე, რაც დარბაზში ჰხდებოდა. ისინიც ორ პარტიად იყვენ გაყოფილი, ზოგი ბანკის მმართველს თანაუგრძნობდა, ზოგი მის მოპირდაპირე კანდიდატს.

საზოგადოების მოძრაობას ცხადად ეტყობოდა, რომ ბანკის მმართველის პარტია უფრო ძლიერი იყო. ერთს მხარეზე რიკულებს შიგნით ისხდენ განიერს სტოლზე ზედამხედველის კომიტეტის წევრები; მარჯვენით, ცოტა მოშორებით, იდგა ფეხზე ბანკის მმართველი, სახეზე ღიმილი ეპარებოდა, ეტყობოდა, გული მაგრად ჰქონდა. მას გვერდით უდგა ვარდენ ვაჩეშვილი და აქეთ-იქით აბრიალებდა თვალებს; ის სწორედ კარგს გამოცდილს მხედართ-მთავარს მოაგონებდა კაცს; მთელს დარბაზში თავის პარტიის კაცებს სათითაოდ ხედავდა; ხან-და-ხან ულვაშებს ორი თითით გადისწორებდა, ხან ერთი თითით, ხან ერთს მხარეს უქნევდა თვალს, ხან მეორე მხარეს. მეორე პარტიის კაცები თუმცა ნაკლებად იყვნენ, მაგრამ ამ წრეში უფრო ბევრი განათლებული მოღვაწენი იყვნენ, რომელთაც არც ჯამაგირებისა, არც სხვა რამ კერძო ინტერესების ძიება არ აღძრავდა მოქმედებისათვის. ისინი მაინცა-და-მაინც არც ბანკის მმართველის მოწინააღმდეგე კანდიდატის მომხრენი იყვენ; თუ რომ იმისკენ იყვენ, მხოლოდ იმისთვის, რომ ბანკის მმართველისა არა სწამდათ-რა. ვარდენის ნიშნებას ბევრი ადევნებდა თვალს და მოწინააღმდეგე პარტიისანი, ვინც-კი ნიშნავდა მის გაიძვერაობას, ოხუნჯობდენ და დასცინოდენ. არავის იჭვი არა ჰქონდა, რომ იმას მოსყიდული კაცები ჰყავდა; მაგრამ დამამტკიცებელი საბუთი ვერა ჩაეგდოთ-რა ხელში. ბანკის დარბაზი თან-და-თან ივსებოდა მეკენჭეებით; შეიქნა საშინელი სივიწროვე. ჭერიდან ნემსი რომ ჩამოეარდნილიყო, ძირს არ დაეარდებოდა. იმ დღეს ქალებიც მრავალნი იყვენ. მათ შორის ბევრი იყო კეკელა, მოხდენილის თვალ-ტანადობისა, ლამაზი, ეშხიანი, ენა ტკბილი, თვალ-ციმციმა. მეკენჭეებიც ბევრნი იყვენ მათის ცქერით გულ-გალომებულნი. პარტიის მოთავეები ძალიან ხმა-მაღლა ლაპარაკობდენ და დიდი მუქარი მიჰქონდათ ერთი მეორეზე.

ჰაერი შეგუბდა, ფანჯრები და კარები დაალეს. მანდილოსნებს სიცხისაგან გული უწუხდათ; მაგრამ ვერაფრით მათ ვერა დასძრავდათ-რა ადგილიდან, ისე საინტერესოდ მიაჩნდათ კაცების კენჭით ბრძოლა. საცა ქალები ისხდენ, იქ პირველსავე შეხედვაზე კაცს თვალში ეცემოდა ერთი შნოიანი ახალგაზდა ქალის სურათი. ის დამჯდარიც ყველაზე მაღალი და ახოვანი მოჩანდა. მისი დიდრონი თვალები ყველას დასცქეროდა და განსაკუთრებით არავისა; დიდხანს იყურებოდა ალვის ხესავით წელ-გამართული ქალი ასე უმიზნოდ. ბოლოს იმან დააშტერა თვალები ერთ გროვას, რომელსაც ძალ-დატანებით არღვევდა ერთი ახალგაზდა სტუდენტი და წამის-წამ მოიძახოდა: „უკაცრავად, ბატონებო, უკაცრავადაო“. ამ ახალგაზდამ რათიც იქნა მიატანა ერიან მანდილოსანთან. ქალი უნებურად წამოდგა, გაუწვდინა ხელი და უთხრა: „ამდენს ხანს სად დაიკარგეთ? მე მეგონა, თქვენ კიდეც გაემგზავრეთ პეტერბურგისკენ“.

— ბევრის საქმეების გამო ველარ მოვიცალე, —უპასუხა ედიშერმა და ყურებამდის გაწითლდა: გრძნობდა, რომ მოიცრუა. მაშ რა ექნა, სხვა მიზეზი ველარა მოეგონებინა-რა თავის გასამართლებელი... ის ახოვანი და შნოიანი ქალი ნინო იყო, ვარდენ ვაჩეშვილის ასული.

გ. წერეთელი

(შემდეგი იქნება)

ლი და გარის-გაცი მექაში იქმნა გაგზავნილი.

კრიტის კუნძულზე ახალი ჯარები გაჰგზავნეს.

### პეტერბურგის ბირჟა, 9-ს მაისს
### ფ ა ს ე ბ ი:

| | მყიდვე-ლისა | გამყიდ-ველისა | გაუყიდე-ლისა |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო | — › | — › | 9 24 |
| ტამოჟნის კუპონები . . | — › | — › | 178 |
| მანათიანი ვერცხლის ფული, . . . . . . . | — › | 1 34 | — › |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . . . | — › | — › | 266 |
| — მეორისა . . . . . | — › | — › | 244 |
| გირავნობ. ფურცელნი: | | | |
| ტფილისის ბანკისა. . . | — › | — › | — › |
| ქუთაისის ბანკისა . . . | — › | — › | — › |
| ტფილისის ურთიერთო ნდობის საზოგადოებისა . . . . . . . , . | — › | — › | — › |

### საკალენდარო ცნობანი

ქრისტეს აქედ ჩუჰზ (1887) წელიწადია. ქვეყნის შექმნიდამ **7395**.

ძველი ინდიქტიონი მე-14, ამისი ქორონიკონი—უოთ=479 წელია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.

ახალი ინდიქტიონი მე-4, ამისი ქორონიკონი—მგ=43 წელიწადია. დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.

1887 წლის ზედ-ნადები—14.

მაისი 31 დღით არის.

**19 დღე ხამშაბათი.** მოწ. პატრიკისა. კათოლ. პეტრე ცელისტინასი და ივონასი. მუსულმ. მე-9 რიცხვი რამაზანის თვისა, 1304 წ. ჰიჯრისა. მე-9 დღე რამაზანის მარხვისა. ჭეშმარიტი შუა-დღე 11—57. ტფილისში მზე ამოდის 4—28, ჩადის 7—28.

**20 დღე ოთხშაბათი.** წმ. მოწ. თალალესი. ღირს. დოდო გარეჯელისა. კათოლ. ბერნარდინასი და ურშულისა. მუსულ. იმამის ჰასანის დაბადების დღე.—ჭეშმარიტი შუა-დღე 11—58, ტფილისში მზე ამოდის 4—27, ჩადის 7—29. მთვარე 11 დღისაა.

**21 დღე ხუთშაბათი.** წმ. მეფეთა კონსტანტინესი ელენასი, წმ. დავით გარესჯელისა. კათოლ. დონატისა, ვალენსინა და ვიქტორიასა. ჭეშმარიტი შუა-დღე 11—57, ტფილისში მზე ამოდის 4—27, ჩადის 7—29.

**22 დღე პარასკევი.** მოწ. ვასილისკესი. კათოლ. იულიისა, ელენესი და ემილიასი. მუსულმანთა. მე-12 დღე რამაზანის თვისა, 1304 წ. ჰიჯრისა. მე-12 დღე რამაზანის მარხვისა. მე-36 ჯუმაასი. ჭეშმარიტი შუა-დღე 11—57. ტფილისში მზე ამოდის 4—27, ჩადის 7—30. მთვარე 13 დღისაა.

**23 დღე შაბათი.** ღირს. მიხეილ ეპისკ. კათოლ. დეზიდერიისა და კრესცენციისა. მუსულ. მე-13 რიცხვი რამაზანის თვისა 1304 წ. ჰიჯრისა. ჭეშმარიტი შუა-დღე 11—58. ტფილისში მზე ამოდის 4—26, ჩადის 7—30. მთვარე 14 დღისაა.

**24 დღე კვირა.** სულის წმ. მოსვლა. სვიმეონ მესვეტისა. სომეხ. სულის წმინდის მოსვლა. ალების ღამე ილიას მარხვისა. ფრანგ. სულის წმ. მოსვლა. ჭეშმარიტი შუა-დღე 11-58. ტფილისში მზე ამოდის 4—26, ჩადის 7—3.

**25 დღე ორშაბათი.** მესამედ პოვნა თავისა წმ. იოანე ნათლის მცემელისა. კათოლ. გრიგორი მე-VII ურბანისა და არკადიასი. ჭეშმარიტი შუა-დღე 11—58 ტფილისში მზე ამოდის 4—25, ჩადის 7—2.

**26 დღე სამშაბათი.** წმ. მოციქ. კარპესი. კათოლ. ფილიპესი და ალიცისა. მუსულმან. მე-16 რიცხვი რამაზანის თვისა, 1304 წ. ჰიჯრისა. მე-16 დღე რამაზანის მარხვისა. ჭეშმარიტი შუა-დღე 11—58. ტფილისში მზე ამოდის 4—25, ჩადის 7—32, მთვარე 17 დღისაა.

### გამოსადეგი ცნობანი
**ნიხრი**

16 მაისიდამ 1 თიბათვემდე.

| | | |
|---|---|---|
| თეთრი პური რუსული 1 გირ. | 5 | კაპ. |
| წითელი პური 1-ის ხარისხისა . | 2½ | › |
| › 2 › | 2 | › |
| თონის წითელი პური 1-ის ხარის. | 5 | › |
| › › 2— | 3 | › |
| › › 3 › | 2½ | › |
| ჯვარის მამის პურის ლავაში 1-ლის ხარისხისა . . | 5 | › |
| მე-2 ხარისხისა . . | 3½ | › |
| მე-3 — . . . | › | › |
| ძროხის ხორცი 1-ლის ხარისხისა. | 8 | › |
| › 2 › | 7 | › |
| სუკი. . . . | 14 | › |
| ცხვრის ხორცი . . . | 8 | › |
| ღორის ხორცი 1-ის ხარისხისა. | › | › |
| › 2 › | › | › |

## კერძო განცხადებანი

ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკის მმართველობა ამით აცხადებს, რომ ოც-და-მეოთხე (XXIV) ტირაჟში, რომელიც მოხდა აპრილის 28-ს ამ 1887 წ. გამოვიდა შემდეგი ნუმრები ამ ბანკის გირავნობის ფურცელთა.

1) გირავნობის ფურცელნი, გამოცემულნი 28 მაისის 1874 წ. წესდების ძალით.

18 წლისა და 7 თთვ. ვადით.

I სერიისა

ათის თუმნის (100 მ.) ღირსოვნობისა №№ სამოც-და-შვიდი (67) და სამოც-და-თერთმეტი (71).

II სერიისა

ათის თუმნის (100 მ.) ღირსოვნობისა № თერთმეტი (11).

27½ წლ. ვადით.

II სერიისა

ასის თუმნის (1000 მ.) ღირსოვნობისა № ორი (2).

III სერიისა

ასის თუმნის (1000 მ.) ღირსოვნობისა №№ სამოც-და-ექვსი (66) და ოც და-ჩვიდმეტი (37).

IV სერიისა

ორმოც-და-ათის თუმნის (500 მ.) ღირსოვნობისა № ორმოც-და-თორმეტი (52).

V სერიისა

ორმოც-და-ათის თუმნის (500 მ.) ღირსოვნობისა № თექვსმეტი (16).

VI სერიისა

ასის თუმნის (1000 მ.) ღირსოვნობისა № ოც-და-ხუთი (25).

VIII სერიისა

ათის თუმნის (100 მ.) ღირსოვნობისა №№ ას ხუთი (105) და ას ცხრამეტი (119).

IX სერიისა

ასის თუმნის (1000 მ.) ღირსოვნობისა: № თორმეტი (12).

X სერიისა.

ასის თუმნის (1000 მ.) ღირსოვნობისა, № ცამეტი (13).

43½ წლის ვადით.

VI სერიისა

ათის თუმნის (100 მ.) ღირსოვნობისა №№ ოც-და-რვა (28), ორი (2), ორმოც-და-ცხრა (49).

VII სერიისა

ათის თუმნის (100 მ.) ღირსოვნობისა, № სამას ოც-და-ცამეტი (333).

VIII სერიისა

ორმოც-და-ათის თუმნის (500 მ.) ღირსოვნობისა, № ცხრა (9).

IX სერიისა

ორმოც-და-ათის თუმნის (500 მ.) ღირსოვნობისა, № სამი (3).

X სერიისა

ათის თუმნის (100 მ.) ღირსოვნობისა, № ათი (10).

XI სერიისა.

ათის თუმნის (100 მ.) ღირსოვნობისა №№ სამოცი (60) და სამოც-და-ერთი (61).

54½ წლის ვადით.

II სერიისა

ათის თუმნის (100 მ.) ღირსოვნობისა, №№ სამოც-და-თოთხმეტი (74) და სამოც-და-თხუთმეტი (75).

III სერიისა.

ორმოც-და-ათის თუმნის (500 მ.) ღირსოვნობისა, № თოთხმეტი (14).

V სერიისა

ორმოც-და-ათის თუმნის (500 მ.) ღირსოვნობისა, № ას სამოც-და-რვა (168).

2) გირავნობის ფურცელნი გამოცემულნი 17 თებერვალის 1881 წლის წესდების ძალით.

27½ წლის ვადით.

I სერიისა

ათის თუმნის (100 მ.) ღირსოვნობისა №№ რვა (8), ას ოთხმოც-და-თექვსმეტი (196), ას ორმოც-და-ოთხი (144) და ოც-და-ცხრა (29).

ორმოც-და-ათის თუმნის (500 მ.) ღირსოვნობისა, № ორმოც-და-სამი (43).

ასის თუმნის (1000 მ.) ღირსოვნობისა, №№ ორას ოთხმოც-და-ათი (290), ას ორმოც-და-ცხრამეტი (159), ას ოც-და-თხუთმეტი (135) და ორას ოთხმოც-და-თექვსმეტი (296).

II სერიისა

ათის თუმნის (100 მ.) ღირსოვნობისა, № ას ექვსი (106) და სამოც-და-თორმეტი (72).

ორმოც-და-ათის თუმნის (500 მ.) ღირსოვნობისა, № ოც-და-სამი (23).

ასის თუმნის (1000 მ.) ღირსოვნობისა, №№ შვიდას ოც-და-თხუთმეტი (735), ხუთას თერთმეტი (511), ას ოც-და-თერთმეტი (131), სამას სამოც-და-შვიდი (367), რვა ას ხუთი (805), შვიდას-ოთხმოც-და-ცამეტი (793), ოც-და-სამი (23), ხუთას-სამოც-და-ხუთი (565) და ორას ოთხმოცი. (280).

III სერიისა

ათის თუმნის (100 მ.) ღირსოვნობისა, №№ ოც-და-თერთმეტი (31), ორმოც-და-თხუთმეტი (55), ორმოც-და-რვა (48) და ას ოც-და-თხუთმეტი (135).

ასის თუმნის (1000 მ.) ღირსოვნობისა № ოც-და-ოთხი (24).

IV სერიისა

ათის თუმნის (100 მ.) ღირსოვნობისა, №№ ოც-და-ოთხი (24), ოც-და-ორი (22) და ას სამოც-და-ცამეტი (173).

ორმოც-და-ათის (500 მ.) ღირსოვნობისა, № ცამეტი (13).

ასის თუმნის (1000 მ.) ღირსოვნობისა, №№ ოთხმოც-და-თვრამეტი (98) და ოც-და-თექვსმეტი (36).

V სერიისა.

ათის თუმნის (100 მ.) ღირსოვნობისა, №№ ას ორმოც-და-სამი (143) ოც-და-ოთხი (24) და ხუთი (5).

ასის თუმნის (1000 მ.) ღირსოვნობისა, №№ სამას-ორი (302), ოთხმოც-და-თერთმეტი (91) და სამას ოც-და-თორმეტი (332).

VI სერიისა

ათის თუმნის (100 მ.) ღირსოვნობისა, №№ ოთხი (4), ორმოც-და-თექვსმეტი (56), ექვსი (6) და შვიდი (7), ასის თუმნის (1000 მ.) ღირსოვნობისა, № ასი (100).

VII სერიისა

ათის თუმნის (100 მ.) ღირსოვნობისა, №№ ას ოთხმოც-და-თხუთმეტი (195) და ას-ორმოცდა-ერთი (141).

ორმოც-და-ათის თუმნის (500 მ.) ღირსოვნობისა, № თხუთმეტი (15).

ასის თუმნის (1000 მ.) ღირსოვნობისა, №№ ორას რვა (208), ორას ორმოც-და-ათი (250) და სამას ოც-და-თვრამეტი (338).

VIII სერიისა

ათის თუმნის (100 მ.) ღირსოვნობისა, №№ რვა (8), ორმოც-და-შვიდი (47) და ორმოც-და-ხუთი (45).

ორმოც-და-ათის თუმნის (500 მ. ღირსოვნობისა, № ორი (2).

IX სერიისა

ასის თუმნის (1000 მ.) ღირსოვნობისა, № სამოც-და-რვა (68).

X სერიისა

ათის თუმნის (100 მ.) ღირსოვნობისა, № ოც-და-თექვსმეტი (36).

ასის თუმნის (1000 მ.) ღირსოვნობისა, № ოც-და-ოთხი (24).

XI სერიისა

ათის თუმნის (100 მ.) ღირსოვნობისა, № ოც-და-სამი (23).

ასის თუმნის (1000 მ.) ღირსოვნობისა, № ორას ოც-და-თექვსმეტი (236).

XII სერიისა

ათის თუმნის (100 მ.) ღირსოვნობისა, № ერთი (1).

ასის თუმნის (1000 მ.) ღირსოვნობისა, №№ ოც-და-ცხრა (29), ას თერთმეტი (111), ას ხუთი (105), ოც-და-ხუთი (25) და ას ორმოც-და-თერთმეტი (151).

**43½ წლის ვადით.**

I სერიისა

ათის თუმნის (100 მ.) ღირსოვნობისა, №№ ოც-და-თხუთმეტი (35) და ორმოც-და-ცხრამეტი (59).

ორმოც-და-ათის თუმნის (500 მ.) ღირსოვნობისა, № ათი (10).

II სერიისა

ათის თუმნის (100 მ.) ღირსოვნობისა, №№ ოც-და-ცამეტი (33), ოც-და-თოთხმეტი (34) და ოც-და-ცხრა (29).

ორმოც-და-ათის თუმნის (500 მ.) ღირსოვნობისა, № ექვსი (6).

III სერიისა

ორმოც-და-ათის თუმნის (500 მ.) ღირსოვნობისა, № ოც-და-შვიდი (27).

IV სერიისა.

ორმოც-და-ათის თუმნის (500 მ.) ღირსოვნობისა, № ოც-და-თერთმეტი (31).

V სერიისა

ათის თუმნის (100 მ.) ღირსოვნობისა, № ოც-და-შვიდი (27).

ორმოც-და-ათის თუმნის (500 მ.) ღირსოვნობისა, № ორმოც-და-რვა (48).

VI სერიისა

ათის თუმნის (100 მ.) ღირსოვნობისა №№ სამოც-და-ორი (62), ოც-და-რვა (28), სამოც-და-ჩვიდმეტი (77), ოთხმოც-და-სამი (83) და სამოც-და-ცამეტი (73).

VII სერიისა

ათის თუმნის (100 მ.) ღირსოვნობისა, № თორმეტი (12).

ორმოც-და-ათის თუმნის (500 მ.) ღირსოვნობისა, № ცხრამეტი (19).

VIII სერიისა.

ათის თუმნის (100 მ.) ღირსოვნობისა, № ას ოც-და-თერთმეტი (131) და ას თვრამეტი (118).

ასის თუმნის (1000 მ.) ღირსოვნობისა, № ორას თვრამეტი (218).

IX სერიისა

ორმოც-და-ათის თუმნის (500 მ.) ღირსოვნობისა, № ოც-და-რვა (28).

X სერიისა

ათის თუმნის (100 მ.) ღირსოვნობისა, №№ ოცი (20), ექვსი (6) და ოც-და-სამი (23).

XI სერიისა

ათის თუმნის (100 მ.) ღირსოვნობისა, №№ სამი (3) და ოთხი (4).

XII სერიისა

ათის თუმნის (100) ღირსოვნობისა, №№ ექვსი (6), ერთი (1), ორი (2), ხუთი (5), ოთხი (4), სამი (3) და რვა (8).

ტირაჟში ამოსულს გირავნობის ფურცლებში ფული შეუძლიანთ მიიღონ: ქ. ტფილისში, ბანკის დახლიდამ, პეტერბურგში და ვარშავში ბანკის კონტორებში ბ-ნ ვაველბერგისა, მოსკოვში—პოლიაკოვის კონტორაში და სუყველა სახელმწიფო ბანკის კონტორებში და განყოფილებებში. (1—1)

დაიბეჭდა და ისყიდება ტფილისის წიგნის მაღაზიებში ახალი სკოლებში სახმარებელი სახელმძღვანელო წიგნი მიხეილ ნასიძისა:

### ქართველი მწერლები
### II
### დავით გურამიშვილი
**ფასი 20 კაპ.**

ეს წიგნი შეიცავს წინასიტყვაობას, დავით გურამიშვილის ბიოგრაფიას და 14 საუკეთესო ლექსს, ამოღებულს «დავითიანიდამ». ყოველივე ძნელი სიტყვა სხოლიოში განმარტებულია და ისტორიულს ლექსებსაც აქვს საჭირო ისტორიული შენიშვნები. (10—1)

### თამბაქო და პაპიროსები
**დონის როსტოველ მეფაბრიკეთა**
## ძმათა ასლანიდებისა.

მაღაზია ყალამქაროვის სახლშია, სასახლის ქუჩაზე, ტფილისში.

გვაქვს პატივი ვაცნობოთ პაპიროსის მწეველთა და თუთუნის გამჭართა, რომ ამა წლის 15 თებერვლიდგან ჩვენ დავიწყეთ თამბაქოს გაჭრობა; ვყიდით ყველა გვარისა და ღირსების თუთუნსა და პაპიროსებს ჩვენის ფაბრიკისას. ჩვენი თუთუნი ისეთის განსაკუთრებულის თვისებისაა, **ისეთი კარგი მოსაწევია, გრილია და სასიამოვნოდ სუნელოვანი**, რომ დიდი ხმა აქვს გავარდნილი და დიდ-ძალიც ისყიდება რუსეთის იმპერიის ბევრს დიდს ქალაქებში და საზღვარ-გარედ. ტფილისში და ამიერ-კავკასიაში დღემდე ჩვენი თუთუნი არ იყო ხმარებაში. ამიტომ დღეს გავმართეთ ზემოხსენებული საფაბრიკო მაღაზია და გვსურს გავავრცელოთ ჩვენის ფაბრიკის თუთუნი. უმორჩილესად ვსთხოვთ პაპიროსისა და თუთუნის მწეველთ, ინებონ და იგემონ ჩვენის ფაბრიკის თუთუნი და პაპიროსები.

**ბ-ნთ გამჭართ იმდენი დავუთმობთ თუთუნის ყიდვის დროს, რამდენსაც საზოგადოდ ფაბრიკები უთმობენ ხოლმე.**

მეფაბრიკენი ძმანი ასლანიდები

(25—16)

დაიბეჭდა და ისყიდება ტფილისში: გრ. ჩარკვიანისა და გრიქუროვის წიგნის მაღაზიებში, გორში—თვით ავტორთან და ქუთაისში—ჭილაძის მაღაზიაში

**ორი მოთხრობა**

ს. მგალობლიშვილისა

I მცვრევაზე

II დიდ ზალაში

**ფასი ორი შაური.**

## ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკისაგან.

